



ინფორმაციის თავისუფლების
განვითარების ინსტიტუტი

მოსაზრება საქართველოს საკონსტიტუციო
სასამართლოს 2019 წლის 7 ივნისის N1/4/693,857
გადაწყვეტილების აღსასრულებლად
დარეგისტრირებული კანონის პროექტის თაობაზე

30 აგვისტო 2021 წელი



მოცემული მასალის მომზადება დაფინანსებულია შვედეთის საერთაშორისო განვითარების თანამშრომლობის სააგენტოს, Sida-ს მიერ. შინაარსზე პასუხისმგებლობა სრულად ეკისრება მის შემქმნელს. Sida შესაძლოა არ იზიარებდეს გამოთქმულ ხედვებსა და ინტერპრეტაციებს.

შინაარსი

| | |
|---|----|
| შესავალი..... | 4 |
| 1. სასამართლოს აქტების ხელმისაწვდომობის დადგენილი კონსტიტუციური წესი | 5 |
| 1.1. აუცილებლობის ეტაპი: მოქნილი მექანიზმი, რომლითაც შესაძლებელი იქნება პერსონალურ მონაცემთა სუბიექტის ნების გამორკვევა.. | 5 |
| 1.1.1. შემოთავაზებული საკანონმდებლო რეგულირების განხილულ სტანდარტთან თავსებადობა | 7 |
| 1.2. ვიწრო პროპორციულობა: საკონსტიტუციო სასამართლოს მიერ დადგენილი კონსტიტუციური სტანდარტები | 9 |
| 1.2.1. ვიწრო პროპორციულობა - სტანდარტი N1: საწყისი კონსტიტუციური ბალანსი სასამართლოს აქტების ხელმისაწვდომობასა და პერსონალურ მონაცემთა დაცვას შორის..... | 10 |
| 1.2.2. შემოთავაზებული საკანონმდებლო რეგულირების თავსებადობა სასამართლოს აქტების ხელმისაწვდომობასა და პერსონალურ მონაცემთა დაცვას შორის არსებულ საწყის კონსტიტუციურ ბალანსთან..... | 13 |
| 1.2.3. ვიწრო პროპორციულობა - სტანდარტი N2: საწყისი კონსტიტუციური ბალანსის შებრუნების შესაძლებლობა..... | 13 |
| 2. საკითხის გადაწყვეტის ვადები და გასაჩივრების უფლება..... | 16 |
| 2.1. ვადები..... | 16 |
| 2.2. გასაჩივრების უფლება | 17 |
| 3. საკონსტიტუციო სასამართლოს სტანდარტების იმპლემენტაციამდე არსებული გადაწყვეტილებების ხელმისაწვდომობა | 19 |
| 3.1. მიმართვის და განხილვის ვადები..... | 20 |
| 3.2. გამონაკლისი თანამდებობის პირებზე და განსაკუთრებულად მაღალი საჯარო ინტერესის მქონე საქმეებზე | 21 |
| 4. საერთო სასამართლოს რესურსები..... | 22 |
| 5. სასამართლოს გადაწყვეტილებების გამოქვეყნება | 23 |
| 6. სხვადასხვა, არასისტემური პრობლემური საკითხები | 24 |
| შეჯამება..... | 26 |

შესავალი

საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2019 წლის 7 ივნისის N1/4/693,857 გადაწყვეტილებით (შემდგომ „გადაწყვეტილება“ ან „საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილება“) იქამდე არსებულისაგან სრულიად განსხვავებულად დადგინდა ბალანსი სასამართლოს აქტების ხელმისაწვდომობასა და პერსონალურ მონაცემთა დაცვის უფლებას შორის. სახელდობრ, არაკონსტიტუციურად ცნობილი ნორმები პერსონალური მონაცემების შემცველი გადაწყვეტილების გასაჯაროებას ფაქტობრივად კრძალავდა.¹

საქართველოს პარლამენტს საკონსტიტუციო სასამართლოს მიერ განმარტებული სტანდარტების იმპლემენტაცია ამ დრომდე არ განხორციელებულა. გარდა იმისა, რომ ამ გადაწყვეტილებით დამკვიდრებული მართლმსაჯულების გამჭვირვალობის უაღრესად მნიშვნელოვანი პრინციპების იმპლემენტაცია საქართველოს კონსტიტუციით გათვალისწინებულ ვალდებულებას წარმოადგენს, იგი აგრეთვე ე.წ. „პრეზიდენტ შარლ მიშელის შეთანხმების“ ნაწილად იქცა. უნდა აღინიშნოს, რომ კანონპროექტის რეგისტრაციას წინ უძღვოდა 2021 წლის [16 ივნისს ქ. ბორჯომში IDFI-ის მიერ ორგანიზებული სამუშაო შეხვედრა](#), რომელშიც მონაწილეობა მიიღო საქართველოს პარლამენტის იურიდიულ საკითხთა კომიტეტმა. სწორედ აღნიშნული კომიტეტის რამდენიმე წევრის ავტორობით არის დარეგისტრირებული კანონპროექტი.

საკონსტიტუციო სასამართლომ არაკონსტიტუციურად მიიჩნია „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონისა და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის გასაჩივრებული ნორმები, ვინაიდან სადავო ნორმები არღვევდნენ თანაზომიერების პრინციპის ორ, დამოუკიდებელ ელემენტს.

მიმდინარე შეფასებაში საქართველოს პარლამენტის წევრთა მიერ ინიცირებული კანონის პროექტი საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს მიერ თანაზომიერების პრინციპის სხვადასხვა საფეხურზე დადგენილი სტანდარტების პარალელურადაა გაანალიზებული.

შეფასება ეხება კანონპროექტის იმ ნაწილებსაც, რომლებიც უშუალოდ საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილებიდან არ მომდინარეობს, თუმცა

¹ გამონაკლისი იყო პერსონალურ მონაცემთა დაცვის სუბიექტის თანხმობა. ასევე, თუ პერსონალური მონაცემი არ იყო განსაკუთრებული კატეგორიის, თეორიულად შესაძლებელი იყოს ამგვარი მონაცემის შემცველი სასამართლოს აქტის მიღება.

შემოთავაზებული გადაწყვეტები წარმოშობს დამოუკიდებელ სამართლებრივ პრობლემებს.

1. სასამართლოს აქტების ხელმისაწვდომობის დადგენილი კონსტიტუციური წესი

საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლომ პერსონალურ მონაცემთა დაცვის მიზნით, ღია სასამართლო სხდომის შედეგად მიღებული სასამართლოს აქტების საჯარო ინფორმაციის სახით გაუცემლობა ღირებულ ლეგიტიმურ მიზნად შეაფასა. თუმცა, სასამართლომ შემდეგ ეტაპზე თანაზომიერების პრინციპის ორი ელემენტის („აუცილებლობის“ და „პროპორციულობის“) დარღვევა დაადგინა.

თანაზომიერების პრინციპის თითოეულ ელემენტს დამოუკიდებელი შინაარსი გააჩნია. შესაბამისად, ცალ-ცალკე უნდა გავანალიზოთ ის მიზეზები, რომლებიც საკონსტიტუციო სასამართლოს მიერ თანაზომიერების მითითებული ელემენტების დარღვევის მიზეზად იქნა მიჩნეული.

1.1. აუცილებლობის ეტაპი: მოქნილი მექანიზმი, რომლითაც შესაძლებელი იქნება პერსონალურ მონაცემთა სუბიექტის ნების გამორკვევა

სასამართლოს აქტებში ასახულ პერსონალურ მონაცემთა დაცვა სასამართლოს მიერ ისეთ ღირებულ კონსტიტუციურ სიკეთედ შეფასდა, რომლის გამოც შესაძლებელია სასამართლოს აქტის სრულ ტექსტზე წვდომის შეზღუდვა. იმავდროულად სასამართლომ ეს შეზღუდვა დასახელებული ლეგიტიმური მიზნის მისაღწევად „ვარგის“, „გამოსადეგ“ საშუალებად მიიჩნია. თუმცა, სასამართლომ დაადგინა, რომ იმავე ლეგიტიმური მიზნის მიღწევა უფლების ნაკლებად მზღლუდავი საშუალების გამოყენებითაც იყო შესაძლებელი. სხვაგვარად: სასამართლომ დაადგინა თანაზომიერების შემდეგი ელემენტის - „აუცილებლობის“ მოთხოვნების დარღვევა.

საკონსტიტუციო სასამართლომ ყურადღება გაამახვილა გარემოებაზე, რომ სადავო მოწესრიგების მოქმედების ფარგლებში პერსონალურ სუბიექტთა ნების გამორკვევა საერთოდ არ ხდებოდა. კერძოდ, სადავო ნორმები იცავდა მათ შორის, იმ ადამიანთა პერსონალურ მონაცემებს, ვისაც საკუთარ პერსონალურ მონაცემთა დაცვის სურვილი არც გააჩნდათ. მეტიც, სადავო ნორმები იმ შემთხვევაშიც სავალდებულოდ იცავდა მათ პერსონალურ ინფორმაციას, როდესაც ამ

ადამიანებს გამოხატულად სურდათ მათ შესახებ სასამართლოს აქტებში დაფიქსირებული ინფორმაციის გასაჯაროება.

საკონსტიტუციო სასამართლოს განმარტებით, „როდესაც ინფორმირებული და გაცნობიერებული გადაწყვეტილების მიღების უნარის მქონე პირს არ აქვს მის შესახებ არსებული ინფორმაციის გამჟღავნებისგან დაცვის ინტერესი, არ არსებობს სასამართლოს აქტებში ასახული მისი პერსონალური მონაცემების კონფიდენციალობის დაცვის საჭიროება“.²

ამ პრობლემის გადასაწყვეტად, საკონსტიტუციო სასამართლომ მიუთითა რომ...

„კანონმდებლობით არ არის განსაზღვრული მონაცემთა კონფიდენციალობის დაცვის შესახებ სუბიექტის ინტერესის იდენტიფიცირების მოქნილი მექანიზმი.“³ სასამართლოს განმარტებით „შესაძლებელია, კანონმდებლობით ისეთი მექანიზმების შექმნა, რომელთა ფარგლებშიც, საჯარო დაწესებულების მიერ შეძლებისდაგვარად დადგინდება, რამდენად გააჩნია პირს საკუთარი პერსონალური ინფორმაციის დაცვის ინტერესი. კერძოდ, შეიძლება შეიქმნას სისტემა, რომლის მიხედვითაც, შესაძლებლობის შემთხვევაში სასამართლო თავად გამოარკვევს აქვს თუ არა სუბიექტს პირადი ინფორმაციის კონფიდენციალობის დაცვის სურვილი და შესაბამისად, სასამართლოს გადაწყვეტილებაში ასახული პერსონალური მონაცემების დაცვა დამოკიდებული იქნება მონაცემთა სუბიექტის მიერ გამოხატულ ნებაზე.“⁴

სხვა სიტყვებით, საკონსტიტუციო სასამართლომ მიუთითა, რომ სასამართლომ უნდა გამოარკვიოს, ადამიანს უნდა თუ არა საკუთარი პერსონალური მონაცემების დაცვა. თუ მას არ სურს საკუთარი პერსონალური მონაცემების გამჟღავნებისგან დაცვა, შესაბამისი აქტის გაცემაზე უარის თქმა, ამ ადამიანის პერსონალური მონაცემების დაცვის მოტივით, დაუშვებელია.

შესაბამისად, სასამართლოს აქტის ხელმისაწვდომობა პერსონალურ მონაცემთა დაცვის მოტივით მხოლოდ იმ შემთხვევაში შეიძლება შეიზღუდოს, თუ პირი უარს არ იტყვის საკუთარი მონაცემების დაცვაზე. ხაზგასმით უნდა აღინიშნოს, რომ პერსონალურ მონაცემთა სუბიექტის ნების გამორკვევა ემსახურება მხოლოდ და მხოლოდ, აუცილებლობის ეტაპზე არსებული სამართლებრივი პრობლემის

² საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2019 წლის 7 ივნისის №1/4/693,857 გადაწყვეტილება საქმეზე „ა(ა)იპ „მედიის განვითარების ფონდი“ და ა(ა)იპ „ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტი“ საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“, სამოტივაციო ნაწილი პარ. 31.

³ იქვე. პარ. 32

⁴ იქვე. პარ. 33

გამორკვევას. გააჩნია თუ არა პირს საკუთარ პერსონალურ მონაცემთა დაცვის ინტერესი.⁵

1.1.1. შემოთავაზებული საკანონმდებლო რეგულირების განხილულ სტანდარტთან თავსებადობა

შემოთავაზებული კანონპროექტის 13⁵ მუხლი აწესრიგებს 2022 წლის 1 იანვრის შემდეგ მიღებული სასამართლო აქტების ხელმისაწვდომობასთან დაკავშირებულ საკითხებს. აღნიშნული მუხლის მე-2 პუნქტის თანახმად, „სასამართლო საქმეზე თავისი ბოლო სასამართლო აქტის მიღებასთან ერთად, საქართველოს კონსტიტუციით უზრუნველყოფილი ადამიანის უფლებების, კერძოდ, ადამიანის სიცოცხლის, ჯანმრთელობის, ფინანსების, ოჯახური ცხოვრების ან/და სხვა პირადი საკითხის დაცვის უფლებისა და სასამართლო აქტის ხელმისაწვდომობის უფლების გონივრული დაბალანსების პრინციპზე დაყრდნობით წყვეტს მის მიერ ღია სასამართლო სხდომის შედეგად იმავე საქმეზე მიღებული ყველა სასამართლო აქტის სრული ან ნაწილობრივ დეპერსონალიზებული ტექსტის საჯარო ინფორმაციის სახით გაცემის დასაშვებობის საკითხს. სასამართლოს ამის შესახებ გამოაქვს დასაბუთებული განჩინება.“ ეს მუხლი ადგენს დაპირისპირებულ კონსტიტუციურ ინტერესებს შორის ბალანსს, ანუ ერთგვარ სტანდარტს, რომლის მიხედვითაც უნდა იხელმძღვანელოს მოსამართლემ სასამართლოს აქტის ხელმისაწვდომობის საკითხის გადაწყვეტისას.⁶ იმავე მუხლის მე-3 პუნქტის თანახმად „ამ მუხლის მე-2 პუნქტით გათვალისწინებული საკითხის გადასაწყვეტად სასამართლო საქმეზე თავისი ბოლო სასამართლო აქტის მიღებამდე ამ მუხლის მე-4 პუნქტით დადგენილი წესით არკვევს პირის ნებას მის მიერ იმავე საქმეზე მიღებულ/მისაღებ სასამართლო აქტში ამ პირის შესახებ ასახული/ასასახი ინფორმაციის საჯარო ინფორმაციის სახით გაცემის თაობაზე“. კანონპროექტის 13⁵ მუხლის მე-4 პუნქტის თანახმად, თუ პირი „სასამართლოს წინაშე წერილობით არ იტყვის დასაბუთებულ უარს სასამართლო აქტში მის შესახებ ასახული/ასასახი ინფორმაციის საჯარო ინფორმაციის სახით გაცემაზე, ითვლება, რომ იგი თანახმაა ამ ინფორმაციის საჯარო ინფორმაციის სახით გაცემაზე“

აღნიშნული დანაწესი ქმნის პირის ნების გამორკვევისა და ვიწრო პროპორციულობის ეტაპზე შესაფასებელი საკითხების რეალური აღრევის

⁵ საკუთარი პერსონალური მონაცემების დაცვაზე უარის ართქმა, არ გულისხმობს, რომ ყველა შემთხვევაში სასამართლოს მოუწიოს მსჯელობა პერსონალურ მონაცემთა დაცვაზე.

⁶ ბალანსის განსაზღვრის ციტირებული სტანდარტი არ შეესაბამება საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილებას, თუმცა აღნიშნულზე ჩვენ ქვემოთ ვისაუბრებთ.

საფრთხეს. კერძოდ, შემოთავაზებული კანონპროექტით ხდება პირის ნების გამორკვევა თუმცა ერთმანეთშია „გადახლართული“ პირის მიერ საკუთარი პერსონალურ მონაცემთა გამჟღავნებისგან დაცვის ინტერესისა და იმ გარემოებების გამორკვევა, რომელიც შესაძლებელია გახდეს სასამართლოს აქტების ხელმისაწვდომობის შეზღუდვის საფუძველი. ასევე, კანონპროექტი ცხადად არ გამიჯნავს ერთმანეთისგან ინტერესს, რომლისთვისაც საკონსტიტუციო სასამართლომ თანაზომიერების პრინციპის „აუცილებლობის“ ეტაპზე სადავო ნორმები გააუქმა და ინტერესებს, რომლებიც გახდა სადავო ნორმების არაკონსტიტუციურად ცნობის საფუძველი ვიწრო პროპორციულობის ეტაპზე.

პირის მიერ უბრალოდ ნების გამოხატვა - სხვა სიტყვებით, პასუხი კითხვაზე „გსურთ თუ არა თქვენი პერსონალური მონაცემები ხელმისაწვდომი იყოს საჯარო ინფორმაციის სახით“ რელევანტურია მხოლოდ და მხოლოდ იმის გამოსარკვევად, რამდენად არსებობს პერსონალურ მონაცემთა სუბიექტის ინტერესი დაიცვას საკუთარი მონაცემები. სხვაგვარად, არსებობს თუ არა სამართლებრივი ინტერესი, რომელიც სასამართლოს აქტების ხელმისაწვდომობის უფლებას დაუპირისპირდებოდა.

მეტი კონკრეტიკისთვის, ვიწრო პროპორციულობის ეტაპზე საკონსტიტუციო სასამართლოს მიერ დამკვიდრებული სტანდარტები ადგენს ბალანსს მართლმსაჯულების გამჭვირვალობასა და პირადი ცხოვრების უფლებას შორის. აუცილებლობის ეტაპზე, პირის ნების გამორკვევის ერთადერთი მიზანია გაირკვეს, რამდენად არსებობს პირადი ცხოვრების დაცვის ინტერესი, რომელიც სასამართლოს აქტის მიღების უფლებას დაუპირისპირდება. ნების გამორკვევა წინაპირობაა ვიწრო პროპორციულობის ეტაპზე დადგენილ ბალანსზე გადასასვლელად, თუმცა იგი ამ ეტაპზე დადგენილ ბალანსზე საერთოდ არ ახდენს გავლენას.⁷

აქედან გამომდინარე, პირის ნების გამორკვევა არის სამართლებრივი მნიშვნელობის მოქმედება, რომელიც სრულად პერსონალურ მონაცემთა დაცვის სუბიექტის გადასაწყვეტია. მისი პასუხი ავტომატურად უნდა განსაზღვრავდეს დასრულდება თუ არა სასამართლოს აქტის საჯაროობის საკითხის გამორკვევა „აუცილებლობის ეტაპზე“, თუ „იგი გადავა ვიწრო პროპორციულობის ეტაპზე“

⁷ ვითარება, შეიძლება საწინააღმდეგო იყოს, თუ საკანონმდებლო ინიციატივა მოდიფიცირდება და გასცდება პერსონალურ მონაცემთა დაცვის ზოგადი ინტერესის გამორკვევას.

და ამოქმედდება საკონსტიტუციო სასამართლოს მიერ „ვიწრო პროპორციულობის ეტაპზე“ დადგენილი სტანდარტები.

რეკომენდაციები:

- პირის ნების გამორკვევა არ უნდა სცდებოდეს მარტივ „კი“ ან „არა“ პასუხს. მონაცემთა სუბიექტს უნდა ჰქონდეს შესაძლებლობა საერთოდ არ დააფიქსიროს პოზიცია. ეს მექანიზმი თავისი არსით უნდა იყოს მარტივი, მოქნილი. თუ სასამართლოს აქტში ხვდება პირის პერსონალური მონაცემები, რომლის ნების გამორკვევა ვერ ხერხდება (მაგალითად, სასამართლოს სხდომაზე მოიხსენია რომელიმე მონაწილემ) თუმცა თავად მონაცემთა სუბიექტი არ მონაწილეობს სასამართლოს სხდომაში არ გულისხმობს, რომ ამგვარი შემთხვევებისთვის მონაცემთა სუბიექტის ნების გამორკვევა აუცილებელია. აქ შესაძლებელია მოხდეს დაშვება, რომ პირს არ სურს საკუთარი პერსონალური მონაცემების გამჟღავნება და ამ მონაცემთა ხელმისაწვდომობის საკითხი გადაწყდეს ვიწრო პროპორციულობის ეტაპზე.
- ერთმანეთისგან უნდა გაიმიჯნოს პირის ნების გამორკვევა და დასაბუთებული წერილობითი შუამდგომლობა.⁸ დასაბუთებული წერილობითი შუამდგომლობის წარმოუდგენლობა გავლენას არ უნდა ახდენდეს პირის ნების სამართლებრივ აღქმაზე.
- იმ პირობებში, თუ პირის ნების გამორკვევას მიენიჭება ის ფუნქცია, რაც მას საკონსტიტუციო სასამართლომ „აუცილებლობის ეტაპზე მიანიჭა“ თავად სასამართლოს სისტემა უკეთ განსაზღვრავს პირის ნების გამორკვევის ტექნიკურ წესს და აღარ იქნება საჭირო ორგანული კანონის ტექსტობრივი გადატვირთვა.

1.2. ვიწრო პროპორციულობა: საკონსტიტუციო სასამართლოს მიერ დადგენილი კონსტიტუციური სტანდარტები

უპირველესად ნათლად უნდა გავიაზროთ რა სამართლებრივი მოცემულობა შეაფასა საკონსტიტუციო სასამართლომ ვიწრო პროპორციულობის ეტაპზე და

⁸ შემოთავაზებული რეგულირებით, თუ მონაცემთა სუბიექტი დასაბუთებული წერილობით მოთხოვნას არ წარადგენს სასამართლოში, ივარაუდება, რომ იგი თანახმაა საკუთარი პერსონალური მონაცემების საჯარო ინფორმაციის სახით გაცემაზე თუნდაც მას უარი ჰქონდეს ნათქვამი საკუთარი პერსონალური მონაცემების გამჟღავნებაზე. ეს ორი მექანიზმის ერთმანეთისგან უნდა გაიმიჯნოს.

საერთოდ, რატომ გადაიტანა საკითხი ამ ეტაპზე, როდესაც სადავო ნორმები უკვე არაკონსტიტუციურად იყო მიჩნეული წინა, ანუ „აუცილებლობის ეტაპზე“.

მას შემდგომ, რაც სასამართლომ დაასრულა პირის ნების გამორკვევის მოქნილ მექანიზმზე (კერძოდ, მის აუცილებლობაზე) მსჯელობა, მან განმარტა, რომ

„მოსარჩელე მხარის მოთხოვნა მიემართება სადავო ნორმებით დადგენილი სასამართლოს აქტებში არსებული პერსონალური ინფორმაციის, მონაცემების ხელმისაწვდომობის შეზღუდვის არაკონსტიტუციურად ცნობას, მიუხედავად იმისა, პირს, ვის შესახებაც არის ეს ინფორმაცია, აქვს თუ არა გაცნობიერებული, ინფორმირებული გადაწყვეტილებით, უარი ნათქვამი დასახელებული ინფორმაციის კონფიდენციალურობის დაცვაზე“.⁹ იქვე სასამართლომ განმარტა, რომ „სადავო ნორმებით დადგენილი სასამართლოს აქტებზე ხელმისაწვდომობის შეზღუდვა იმ პირობებში, როდესაც ამ აქტებში მოცემულია სხვა პირის შესახებ ინფორმაცია, რომლის მფლობელს გააჩნია მისი დაფარვის ინტერესი, აკმაყოფილებს აუცილებლობის მოთხოვნას და საკონსტიტუციო სასამართლო შეაფასებს მის პროპორციულობას ვიწრო გაგებით.“¹⁰

უფრო კონკრეტულად, თუ პირი დააფიქსირებს საკუთარ ნებას, რომ მას სურს მის საქმეში არსებული პერსონალური მონაცემების დაფარვა, ფუნქციონირებას იწყებს საკონსტიტუციო სასამართლოს მიერ ვიწრო პროპორციულობის ეტაპზე დამკვიდრებული სტანდარტები.

1.2.1. ვიწრო პროპორციულობა - სტანდარტი N1: საწყისი კონსტიტუციური ბალანსი სასამართლოს აქტების ხელმისაწვდომობასა და პერსონალურ მონაცემთა დაცვას შორის.

საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილება მართლმსაჯულების განხორციელების ფარგლებში მიღებული გადაწყვეტილებების ხელმისაწვდომობას უკავშირებს შემდეგ კონსტიტუციურ ინტერესებს: ა) მართლმსაჯულების გამჭვირვალობა;¹¹ ბ) მართლმსაჯულების სისტემის

⁹ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2019 წლის 7 ივნისის №1/4/693,857 გადაწყვეტილება საქმეზე „ა(ა)იპ „მედიის განვითარების ფონდი“ და ა(ა)იპ „ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტი“ საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“, სამოტივაციო ნაწილი პარ. 35.

¹⁰ იქვე.

¹¹ საკონსტიტუციო სასამართლოს 2019 წლის 7 ივნისის გადაწყვეტილება, პარ. 43-45; მაგალითად: „სასამართლოს მიერ ხელისუფლების განხორციელების ლეგიტიმაციის სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანი წყაროა მისი საზოგადოებრივი ნდობა, რაც გამჭვირვალე

ანგარიშვალდებულება;¹² გ) სამართლიანი სასამართლოს უფლება;¹³ დ) სამართლებრივი უსაფრთხოება.¹⁴ აღნიშნულ ინტერესებზე მითითებით, საკონსტიტუციო სასამართლომ დაასკვნა, რომ...

„დემოკრატიულ, სამართლებრივ სახელმწიფოში სასამართლოს აქტების როლის და მათში გადმოცემული ინფორმაციის მნიშვნელობის გათვალისწინებით, ცხადი ხდება, რომ სასამართლოს აქტები განეკუთვნება საჯარო დაწესებულებაში არსებულ იმ ტიპის ინფორმაციას, რომლის ხელმისაწვდომობის მიმართაც თავისთავად არსებობს მომეტებული საზოგადოებრივი ინტერესი, მიუხედავად იმისა, თუ რა სამართლებრივ საკითხს შეეხება, ვის მიმართ არის მიღებული და რა დატვირთვა აქვს კონკრეტულ დროში თუ კონკრეტული გარემოებებიდან გამომდინარე თითოეულ ინდივიდუალურ საქმეზე მიღებულ სასამართლო აქტს. მართლმსაჯულების ფარგლებში მიღებული აქტები თავისთავად არის საზოგადოების მომეტებული ინტერესის საგანი.“¹⁵

მართლმსაჯულების გარეშე წარმოუდგენელია. სწორედ გამჭვირვალე, ღია მართლმსაჯულებას შესწევს ძალა, ჰქონდეს მაღალი საზოგადოებრივი ნდობა და გადაწყვეტილების საზოგადოების სახელით მიღების შესაძლებლობა.“

¹² „ამ თვალსაზრისით მნიშვნელოვანია, დაინტერესებული პირებისათვის ხელმისაწვდომი იყოს სასამართლოს აქტების სრული ტექსტი, მათ შორის, მათში არსებული პერსონალური მონაცემებიც. პერსონალურ მონაცემებზე ხელმისაწვდომობა უზრუნველყოფს დაინტერესებული პირების და საზოგადოების შესაძლებლობას, რომ სათანადოდ განახორციელონ საზოგადოებრივი კონტროლი მართლმსაჯულებაზე. ცალკეულ შემთხვევაში, პერსონალური მონაცემების გარეშე შეუძლებელია, სრულყოფილად შეფასდეს, რამდენად ობიექტურად და მიუკერძოებლად მიიღო სასამართლომ ესა თუ ის გადაწყვეტილება. სწორედ პერსონალური მონაცემების, საქმეში მონაწილე პირების ვინაობის დადგენის შედეგად აქვს საზოგადოებას შესაძლებლობა, რომ ჩამოიყალიბოს რწმენა მართლმსაჯულების მიუკერძოებლობისა და შერჩევითი მართლმსაჯულების არარსებობის შესახებ.“ იქვე. პარაგრაფი 46-47.

¹³ სასამართლოს საქმიანობის მაქსიმალური გამჭვირვალობა, მათ შორის, სწორედ მისი აქტების საჯარო ხელმისაწვდომობა, საქართველოს კონსტიტუციით გარანტირებული სამართლიანი სასამართლოს უმნიშვნელოვანესი უფლებრივი კომპონენტია. საქართველოს კონსტიტუციის 31-ე მუხლის პირველი პუნქტი განამტკიცებს საქმის სამართლიანი განხილვის უფლებას. ნებისმიერი ადამიანი უფლებამოსილია, ჰქონდეს მის მიმართ მიმდინარე სამართალწარმოების ფარგლებში მიღებული აქტების საზოგადოებისთვის გაცნობის, საზოგადოების მიერ მის საქმეზე კონტროლის განხორციელების შესაძლებლობა. იქვე. პარ. 48;

¹⁴ „ნებისმიერი ნორმატიულად დადგენილი ქცევის წესი სიცოცხლისუნარიანი ხდება სასამართლოს პრაქტიკაში და მისი საშუალებით. სასამართლო ხელისუფლება საქართველოს კონსტიტუციით დადგენილ ორგანოთა არქიტექტურაში არის ის სახელისუფლებო შტო, რომელიც საბოლოო სიტყვას ამბობს კანონმდებლობის განმარტებისა და გამოყენების თაობაზე.“ იქვე პარ. 49.

¹⁵ იქვე. პარ. 50

ციტირებული განმარტება ცხადყოფს, რომ საქართველოს კონსტიტუციით სასამართლოს აქტების ხელმისაწვდომობის მიმართ თავისთვად არსებობს მომეტებული კონსტიტუციური ინტერესი. ფაქტზე, რომ პერსონალურ მონაცემთა დაცვისა და სასამართლოს აქტების საჯაროობას შორის დადგენილი საწყისი ბალანსი საკონსტიტუციო სასამართლომ მართლმსაჯულების გამჭვირვალობის სასარგებლოდ გადაწყვიტა, ცხადად მიუთითებს ის გარემოება, რომ საკონსტიტუციო სასამართლომ ის სადავო ნორმებიც ცნო არაკონსტიტუციურად, რომელიც სასამართლოს აქტის მიღების უფლებას იძლეოდა თუ მომთხოვნი წარმოაჩენდა, რომ შესაბამისი აქტის მიმართ მას მომეტებული ინტერესი გააჩნდა.¹⁶

სასამართლოს განმარტებით, „სადავო ნორმებით დადგენილი ბალანსის კონსტიტუციასთან შეუსაბამობას ვერ გამოირიცხავს ის გარემოება, რომ დაინტერესებული პირის მოთხოვნით, მომეტებული ინტერესის დასაბუთების შემთხვევაში შესაძლებელია, სასამართლოს აქტში მოცემული პერსონალური მონაცემების საჯარო ინფორმაციის ფორმით გაცემა. როგორც აღინიშნა, პერსონალური მონაცემების სასარგებლოდ დადგენილი პირველადი ბალანსი არ არის თავსებადი საქართველოს კონსტიტუციით აღიარებულ ღირებულებათა წესრიგთან. ასეთი რეგულაციის პირობებში რამდენადმე მცირდება მართლმსაჯულების საზოგადოებრივი კონტროლისა და, შესაბამისად, საზოგადოებრივი ნდობის ხარისხი. არაერთ შემთხვევაში, დაინტერესებული პირისათვის უშუალოდ პერსონალური მონაცემების გაცნობის გარეშე შეუძლებელია მომეტებული ინტერესის დასაბუთება. თითოეულ შემთხვევაში სასამართლოს აქტში მოცემული პერსონალური მონაცემების გაცემისას ინფორმაციის ღიაობის მომეტებული ინტერესის დასაბუთების მოთხოვნა, გამოირიცხავს სასამართლოს გადაწყვეტილებების შემთხვევითი პრინციპით კონტროლს, მათში შესაძლო გადაცდომების, გარკვეული მიკერძოების ტენდენციებისა თუ შერჩევითი მართლმსაჯულების ეფექტიან საზოგადოებრივ ზედამხედველობას.“¹⁷

¹⁶ იქვე. პარ. 63-65.

¹⁷ იქვე. პარ. 65.

1.2.2. შემოთავაზებული საკანონმდებლო რეგულირების თავსებადობა სასამართლოს აქტების ხელმისაწვდომობასა და პერსონალურ მონაცემთა დაცვას შორის არსებულ საწყის კონსტიტუციურ ბალანსთან.

კანონპროექტი იმგვარადაა აწყობილი, რომ პერსონალურ მონაცემთა დაცვის სუბიექტის მიერ მონაცემთა დაცვაზე უარის უთქმელობა ავტომატურად ათანაბრებს სასამართლოს აქტების ხელმისაწვდომობისა და პერსონალურ მონაცემთა დაცვის ინტერესს, რის შემდგომაც, ინტერესებს შორის ბალანსი უნდა გადაწყვიტოს საერთო სასამართლომ, დასახელებული კანონის მე-13^ე პუნქტის მე-2 პუნქტის შესაბამისად. ამგვარი გადაწყვეტა, გარდა იმისა, რომ სასამართლოს გადატვირთვას გამოიწვევს, არსებითად აკნინებს საკონსტიტუციო სასამართლოს მიერ მართლმსაჯულების გამჭვირვალობის სასარგებლოდ დადგენილ საწყის (“default”) ბალანსს.

კანონპროექტი ამ ბალანსს არ აღიარებს. კანონპროექტის არცერთი დებულება არ ამკვიდრებს სამართლოს აქტის ღიაობის ზოგად წესს. რაც იწვევს იმას, რომ სასამართლოს ყველა შემთხვევაში მოუწევს მსჯელობა სასამართლოს აქტის ღიაობაზე, თუ სახეზე არ იქნება მონაცემთა სუბიექტის თანხმობა საკუთარი მონაცემების საჯარო ინფორმაციის სახით გამჟღავნებაზე. ეს სასამართლოს გადატვირთვის რეალურ რისკს ქმნის. სასამართლომ უნდა იმსჯელოს ღია სხდომის შედეგად მიღებული აქტის დახურვაზე თუ ამგვარი საკანონმდებლო საფუძველი იარსებებს.

1.2.3. ვიწრო პროპორციულობა - სტანდარტი N2: საწყისი კონსტიტუციური ბალანსის შებრუნების შესაძლებლობა

საკონსტიტუციო სასამართლომ მიუთითა, რომ სასამართლოს აქტების ხელმისაწვდომობის სასარგებლოდ გადაწყვეტილი საწყისი “default” კონსტიტუციური ბალანსი, შეიძლება შებრუნდეს საგამონაკლისო შემთხვევებში.

„საკონსტიტუციო სასამართლო არ გამორიცხავს კანონმდებლის ლეგიტიმურ შესაძლებლობას, რომ პირის შესახებ არსებული ცალკეული კატეგორიის ინფორმაციასთან დაკავშირებით დაადგინოს იმგვარი ბალანსი, რომლის ფარგლებშიც, როგორც წესი, არ გაიცემა სასამართლო აქტებში მოცემული პერსონალური მონაცემები უშუალოდ სუბიექტის ნების გარეშე. ასეთი რეჟიმი შეიძლება დადგინდეს ინფორმაციის გავრცელების ისეთ შემთხვევებზე, როდესაც ინფორმაციის გამჟღავნება ინფორმაციის შინაარსის, სუბიექტის, გასაჯაროების ფორმის, ვადის, მეთოდის თუ სხვა

გარემოებების გათვალისწინებით, განსაკუთრებით ინტენსიურ გავლენას ახდენს პირად ცხოვრებაზე. მაგალითად, ასეთ კატეგორიაში შეიძლება მოექცეს მონაცემები არასრულწლოვანი პირების შესახებ, ინფორმაცია ინტიმურ სფეროებთან დაკავშირებით და ა.შ. ასეთ შემთხვევებში, ინფორმაციის კონფიდენციალობის დაცვის მომეტებულმა ინტერესმა, შესაძლოა, გადაწონოს საზოგადოების ინტერესი, რომ სასამართლოს აქტების გაცნობის გზით განახორციელოს მართლმსაჯულებაზე ზედამხედველობა.⁴⁸

ამჟამად, რომ საკონსტიტუციო სასამართლომ დაუშვა, პერსონალურ მონაცემთა დაცვის სასარგებლოდ ბალანსის გადახრის შესაძლებლობა საგამონაკლისო შემთხვევებში. ამგვარი საგამონაკლისო შემთხვევები შეიძლება იყოს დაფუძნებული მონაცემთა სუბიექტის დასაბუთებულ წერილობით შუამდგომლობაზე. ინდივიდუალურ შემთხვევებში, შესაძლოა ერთი შეხედვით „უწყინარი“ მონაცემის გამჟღავნებამაც კი არსებითი ზიანი მიაყენოს ადამიანის პირად ცხოვრებას. თუ პერსონალურ მონაცემთა დაცვის სუბიექტს სურს ღია სხდომის შედეგად მიღებული/მისაღებ სასამართლო აქტში საკუთარი პერსონალური მონაცემების დაცვა, მასვე უნდა მოეთხოვოს ამ ინტერესის რეალურობის დასაბუთება. მან ყველაზე კარგად იცის, რატომ სურს შესაბამისი მონაცემის გამჟღავნებისგან დაცვა. შესაბამისად, მანვე უნდა დაასაბუთოს თუ რატომ გადაწონის მისი ინდივიდუალური ინტერესი მართლმსაჯულების გამჭვირვალობის მომეტებულ ინტერესს.

საკონსტიტუციო სასამართლოს არ აუკრძალავს საქართველოს პარლამენტისთვის განსაზღვროს განსაკუთრებული პირობები, როდესაც სასამართლო საკუთარი ინიციატივით, დასაბუთებული წერილობითი შუამდგომლობის გარეშე იმსჯელებს მონაცემთა გამჟღავნებისგან დაცვაზე. შემოთავაზებული საკანონმდებლო რეგულირება ამგვარ შემთხვევებს საერთოდ არ ადგენს. განსაკუთრებული/საგამონაკლისო გარემოებები, რომლებზეც მატერიალურად საკონსტიტუციო სასამართლომ მიუთითა სასურველია გაიწეროს კანონმდებლობით (მაგალითად არასრულწლოვანთან დაკავშირებული საქმეები, ინტიმური სფეროები).

⁴⁸ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2019 წლის 7 ივნისის №1/4/693,857 გადაწყვეტილება საქმეზე „ა(ა)იპ „მედიის განვითარების ფონდი“ და ა(ა)იპ „ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტი“ საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“, სამოტივაციო ნაწილი პარ. 66.

მითითებული შემთხვევები აღიარებს, რომ კონფიდენციალობის ინტერესმა გარკვეულ შემთხვევებში შეიძლება გადაწონოს სასამართლოს აქტების გამჭვირვალობის ნაგულისხმევი, აღმატებული ინტერესი. თუმცა, საკონსტიტუციო სასამართლომ გაითვალისწინა, რომ ამგვარი გადაწყვეტაც არ უნდა იყოს ბლანკეტური და საბოლოო.

„აუცილებელია, ასეთი კატეგორიის ინფორმაციის გაცემაზე უარის თქმისას გადაწყვეტილების მიმღებმა პირებმა მხედველობაში მიიღონ, ხომ არ არსებობს კონკრეტულ საქმეზე მომეტებული/გაზრდილი საზოგადოებრივი ინტერესი, რომელიც, თავის მხრივ, საქმის კატეგორიის, სამართალწარმოების მონაწილეებისა თუ სხვა გარემოებების გათვალისწინებით, გადაწონის მონაცემების კონფიდენციალობის დაცვის ინტერესს. მაგალითისთვის, თუ საქმე შეეხება სახელმწიფო პოლიტიკურ თანამდებობის პირს, შესაძლოა, არსებობდეს მის მიმართ მომეტებული/გაზრდილი საზოგადოებრივი ინტერესი და გამოირიცხოს ინფორმაციის დახურვის საფუძველი.“¹⁹

შემოთავაზებული კანონის პროექტი არ ითვალისწინებს, „დახურული“ სასამართლოს აქტის საჯარო ინფორმაციის სახით გაცემის პროცედურას.

რეკომენდაციები:

- უნდა განისაზღვროს სასამართლოს აქტის ღიაობის ზოგადი წესი.
- უნდა განისაზღვროს ამომწურავი საკანონმდებლო საფუძვლები, როდესაც სასამართლოს მოუწევს იმსჯელოს სასამართლოს აქტის დახურვაზე, სხვა ყველა შემთხვევაში ღია სხდომის შედეგად მიღებული სასამართლოს აქტი უნდა იყოს ღია. სასამართლომ არ უნდა შეითავსოს ნოტარიუსის ფუნქცია აქტის ღიაობის დასადასტურებლად.
- სასამართლოს აქტის ხელმისაწვდომობის შეზღუდვის ერთერთ საკანონმდებლო საფუძველს უნდა წარმოადგენდეს მონაცემთა სუბიექტის დასაბუთებული წერილობითი მოთხოვნის დაკმაყოფილება;
- სასამართლოს უნდა ჰქონდეს შესაძლებლობა, საკუთარი ინიციატივით შეაფასოს იმ პირთა მონაცემების დაცვის საკითხი, რომლებსაც ვერ ეცოდინებათ, მათი პერსონალური მონაცემები სასამართლოს აქტში ხვდება, შეიძლება არ შესწევდეთ გათვითცნობიერებული გადაწყვეტილების მიღების

¹⁹ იქვე.

უნარი, ან საკითხი შეეხებოდეს პირად ცხოვრებასთან დაკავშირებულ განსაკუთრებულად სენსიტიურ ინფორმაციას.

- გათვალისწინებულ უნდა იქნეს დახურული სასამართლოს აქტის გახსნის შესაძლებლობა თუ გარემოებების შეიცვლება და იგი გახდება მომეტებული საჯარო ინტერესის საგანი.
- გათვალისწინებულ უნდა იქნეს ღია აქტის დახურვის შესაძლებლობა, თუ გარემოებები შეიცვლება და გამოიკვეთება პერსონალურ მონაცემთა დაცვის განსაკუთრებული საჭიროება.

2. საკითხის გადაწყვეტის ვადები და გასაჩივრების უფლება

საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს, ცხადია, არ დაუდგენია საკუთარი კონსტიტუციური სტანდარტების იმპლემენტაციის კონკრეტული მოდელი. კერძოდ, საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილებით დადგენილი კონსტიტუციური სტანდარტების აღსრულება შესაძლებელია მიუხედავად იმისა იმოქმედებს სასამართლო როგორც მართლმსაჯულების განმახორციელებელი ორგანო, თუ სასამართლო, როგორც ადმინისტრაციული ორგანო.

საქართველოს პარლამენტმა აირჩია პირველი გზა. კერძოდ, სასამართლოს აქტის ხელმისაწვდომობასთან დაკავშირებულ ყველა საკითხზე გადაწყვეტილებას იღებს მოსამართლე და მისი გადაწყვეტილების შესაბამისად უზრუნველყოფს აქტის საჯაროობას შესაბამისი საჯარო მოხელე.

2.1. ვადები

საკონსტიტუციო სასამართლოს არაფერი უთქვამს ვადების თაობაზე, მაგრამ კანონპროექტით შემოთავაზებული ვადები არსებითად აკნინებს იმ ლეგიტიმურ მიზნებს, რომლისთვისაც საკონსტიტუციო სასამართლომ სასამართლოს აქტების ხელმისაწვდომობის მაღალი სტანდარტი დაადგინა. კერძოდ, ამ დოკუმენტის პირველ ნაწილში გადმოცემული მატერიალური გარანტიების რეალიზების პროცედურა და ვადები იმგვარადაა განსაზღვრული, რომ იგი არსებითად ართულებს მართლმსაჯულების გამჭვირვალობისა და ანგარიშვალდებულების ლეგიტიმური ინტერესების რეალიზებას.

სანიმუშოდ, კანონის პროექტის 13⁵ მუხლის მე-5 პუნქტის თანახმად, სასამართლოს აქტის საჯარო ინფორმაციის სახით მიღება აქტის მიღებიდან ერთ წელზე ადრე შეუძლებელია, თუ მასში ნახსენებ ყველა პირს უკვე არ აქვს უარი ნათქვამი

საკუთარი პერსონალური მონაცემების დაცვაზე. ამასთან, აქტის მიღებაზე დამატებით შეზღუდვას აწესებს, შემოთავაზებული კანონპროექტის 13³ მუხლის მე-2 პუნქტი, რომლის თანახმად, **საჯარო ინფორმაციის სახით შეიძლება მიღებულ იქნეს მხოლოდ იმ საქმეზე მიღებული სასამართლო აქტის სრული ან ნაწილობრივ დეპერსონალიზებული ტექსტი, რომელზედაც კანონიერ ძალაში შესულია სასამართლოს საბოლოო გადაწყვეტილება.** ამგვარი დანაწესები, არათუ არ აუმჯობესებს მართლმსაჯულების გამჭვირვალობის ხელმისაწვდომობას, არამედ გარკვეული თვალსაზრისით აუარესებს კიდევაც საჯარო ინფორმაციის მოთხოვნისა და მიღების არსებულ წესებს.

რეკომენდაცია:

- ვადები უდნა შეიკვეცოს მაქსიმალურად. წლების შემდგომ სასამართლო აქტის მიღება ვერ იქნება განხილული, როგორც მართლმსაჯულების გამჭვირვალობისა და ანგარიშვალდებულების ეფექტური მექანიზმი. გადაწყვეტები, რომელიც იმგვარადაა აგებული, რომ თავისთავად ქმნის ამ ვადების საჭიროებას²⁰ უნდა შეიცვალოს.

2.2. გასაჩივრების უფლება

შემოთავაზებული კანონპროექტი ზღუდავს სასამართლოს აქტების დეპერსონალიზაციის თაობაზე მიღებული გადაწყვეტილების გასაჩივრების უფლებას. კერძოდ, კანონპროექტის 13⁵ მუხლის მე-5 პუნქტის თანახმად, „პირს, რომლის შესახებაც სასამართლო აქტში ასახული ინფორმაციის საჯარო ინფორმაციის სახით გაცემა ამ მუხლის მე-2 პუნქტით გათვალისწინებული განჩინებით დაუშვა სასამართლომ, უფლება აქვს, ამ განჩინებაზე მის ძალაში შესვლამდე შეიტანოს საჩივარი“. აღნიშნული პუნქტის საფუძველზე, განჩინების ძალაში შესვლამდე, რაც შესაძლოა 1 წელს გულისხმობდეს, გასაჩივრება შესაძლებელია მხოლოდ მისი იმ ნაწილის, რომლითაც სასამართლომ საჯაროობის სასარგებლოდ მიიღო გადაწყვეტილება და, იმავდროულად, გასაჩივრების უფლება გააჩნია მხოლოდ პერსონალურ მონაცემთა სუბიექტს. შესაბამისად, განჩინების მიღებიდან 1 წლის განმავლობაში (გარდა იმ შემთხვევისა, თუ პერსონალურ მონაცემთა სუბიექტებიდან ყველამ განაცხადა

²⁰ მაგალითად, ის ფაქტი რომ ბოლო აქტის მიმღებ სასამართლოს ანიჭებს უფლებამოსილებას იმსჯელოს ამ საქმეში მიღებული ყველა წინა აქტის საჯაროობაზე.

თანხმობა ამ მონაცემების განსაჯაროებაზე) არავის აქვს უფლება იდავოს სასამართლოს მიერ დახურული მონაცემების საჯაროობაზე.

გასაჩივრება/პირველადი გადაწყვეტის მოთხოვნა უნდა შეეძლოს როგორც პერსონალურ მონაცემთა დაცვის სუბიექტს, ისე ნებისმიერ დაინტერესებულ პირს, რომელიც მიიჩნევს, რომ კონკრეტულ ვითარებაში, საჯაროობას უნდა მიენიჭოს უპირატესობა და წარმოადგენს შესაბამის დასაბუთებას. როგორც ღია გადაწყვეტილების დახურვის, ისე დახურული გადაწყვეტილების გახსნის მოთხოვნის უფლება დამოკიდებულია გარემოებებზე, რომლებიც შესაძლოა წარმოიშვას სხვადასხვა დროს, მათ შორის მყისიერად და მოულოდნელად. ამ გარემოებათა რაოდენობრივი და დროითი განსაზღვრა შეუძლებელია. ბუნებრივია, გასათავლისწინებელია სასამართლოს გადატვირთვისგან დაცვის ინტერესი, მაგრამ ამის დაზღვევა შესაძლებელია მატერიალური სტანდარტების გამკაცრებით.

გასათავლისწინებელი საკითხია, რომ აქტის დახურვის თაობაზე მოსამართლის განჩინებამ არ უნდა დააბრკოლოს საჯარო ინფორმაციის მიმღები პირის უფლება, სასამართლოს შესაბამისი აქტის მიუღებლობის შემთხვევაში იდავოს სასამართლოში. თუნდაც მოსამართლის გადაწყვეტილება, რომლითაც სასამართლოს აქტის გასაჯაროებისგან დაცვა გადაწყდა, იყოს საბოლოო. გასაჩივრების უფლების შეზღუდვის ამ რისკს აყალიბებს ის გარემოება, რომ საკითხს წყვეტს სასამართლო, როგორც მართლმსაჯულების ორგანო. ამის თაობაზე უნდა გაჩნდეს ცხადი ჩანაწერი.

მთლიანობაში, გასაჩივრების პროცედურა მოუქნელია და შესაძლოა გამოიწვიოს როგორც სასამართლოს აქტების ხელმისაწვდომობის, ისე პერსონალურ მონაცემთა დაცვის უფლებისა და სამართლიანი სასამართლოს უფლების დარღვევა.

მიუხედავად იმისა, რომ საკონსტიტუციო სასამართლოს მისი გადაწყვეტილების აღსრულების მოდელი არ დაუდგენია, მან განსაზღვრა იმპლემენტაციის საბაზისო პრინციპები.

სასამართლოს განმარტებით, „კანონმდებელმა უნდა შექმნას მოქნილი სისტემა, რომელიც დაინტერესებულ პირებს მისცემს საშუალებას, მოკლე დროში მიიღონ ესა თუ ის სასამართლო აქტი. საჯარო ინფორმაციის მიღების უფლება არაეფექტური გახდება თუ მისი მოთხოვნის შემდეგ, მასში არსებული პერსონალური მონაცემების გასაჯაროების საკითხის გადაწყვეტა არაგონივრულად გაჭიანურდება. ეს შეიძლება განხორციელდეს თავად

საქმის განმხილველი მოსამართლის მიერ ან/და უკვე დასრულებულ საქმეებზე ინფორმაციის კონფიდენციალობის დაცვის შესახებ პერსონალურ მონაცემთა სუბიექტის მოთხოვნიდან გონივრულ ვადაში ან/და სხვა მოდელის ფარგლებში, რომელიც უზრუნველყოფს საზოგადოების მიერ სასამართლოს გადაწყვეტილების ხელმისაწვდომობის უფლების სწრაფ და ეფექტურ რეალიზებას“.²¹

მთლიანობაში, კანონის პროექტით შემოთავაზებული პროცედურული წესები არის მოუქნელი და გაუმართლებლად ხანგრძლივი რაც, სასამართლოს აქტების ხელმისაწვდომობის უფლებით ეფექტურად სარგებლობას შეუძლებელს ხდის.

რეკომენდაცია:

- საქართველოს პარლამენტმა უნდა უზრუნველყოს მოქნილი და ეფექტური პროცედურების დამკვიდრება. თუ იგი ამას ვერ ახერხებს მოსამართლეთა გადატვირთვისგან დაცვის ან სხვა მიზეზით, შესაძლებელია შემუშავდეს ბევრად უფრო მარტივი და ეფექტური სამართლებრივი მოდელი, რომელშიც შესაბამის გადაწყვეტილებებს მიიღებს სასამართლო, როგორც ადმინისტრაციული ორგანო სპეციალური პროცედურის ფარგლებში.

3. საკონსტიტუციო სასამართლოს სტანდარტების იმპლემენტაციამდე არსებული გადაწყვეტილებების ხელმისაწვდომობა

საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილების ძალაში შესვლამდე 2020 წლის პირველ მაისამდე, მოქმედებდა ნორმები, რომლებიც a priori იცავდა სასამართლო აქტებში არსებულ პირის პერსონალურ მონაცემებს. მიუხედავად იმისა, რომ ამგვარი მოწესრიგება არაკონსტიტუციურად იქნა ცნობილი, პირებს გააჩნდათ ლეგიტიმური მოლოდინი, რომ მათი მონაცემები იქნებოდა დაცული ნებისმიერ შემთხვევაში და ისინი არ იყენებდნენ პროაქტიულ სამართლებრივ მექანიზმებს საკუთარი პერსონალური მონაცემების დასაცავად.

მართებულია, რომ შემოთავაზებული კანონპროექტი ითვალისწინებს გარდამავალ პერიოდს, როდესაც უნდა გაირკვეს ამ პერიოდში მიღებულ აქტთა

²¹ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2019 წლის 7 ივნისის №1/4/693,857 გადაწყვეტილება საქმეზე „ა(ა)იპ „მედიის განვითარების ფონდი“ და ა(ა)იპ „ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტი“ საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“, სამოტივაციო ნაწილი პარ. 67.

ხელმისაწვდომობის საკითხი. აღნიშნულზე თავად საკონსტიტუციო სასამართლოც მიუთითებს. მიუხედავად ამისა, გარდამავალი პერიოდის განმავლობაში კონსტიტუციური სტანდარტების იმპლემენტაციის შემოთავაზებული მოდელი პრობლემურია.

3.1. მიმართვის და განხილვის ვადები

კანონპროექტი დაინტერესებულ პირებს აძლევს 1 წლის ვადას, მიმართონ სასამართლოს და მოითხოვონ 2022 წლის პირველ იანვრამდე მიღებულ აქტებში მათ შესახებ ასახული პერსონალური მონაცემების გასაჯაროებისგან დაცვა. საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილება, რომელმაც პერსონალურ მონაცემთა სასარგებლოდ არსებული ბალანსი ფაქტობრივად შემოატრიალა, 2019 წელს იქნა მიღებული, ხოლო მისი აღსრულება გადავადებული იყო 2020 წლის მასამდე. შესაბამისად კანონპროექტის ამოქმედების სავარაუდო თარიღამდე სულ მცირე 18 თვე იქნება გასული. ვფიქრობთ, ამ პერიოდის შემცირება 6 თვემდე სრულად რეალური და საკმარისი დროა დაინტერესებული პირების მიერ განცხადებების წარსადგენად.

კანონპროექტის მიხედვით, პირთა წერილობითი მოთხოვნები, 2023 წლამდე მიიღება, ხოლო მომდევნო 1 წლის განმავლობაში (2024 წლამდე) სასამართლო იმსჯელებს განცხადებათა შესახებ. ამასთან კანონპროექტის 13⁴ მუხლის მე-8 პუნქტის თანახმად, „დაუშვებელია 2022 წლის 1 იანვრამდე მიღებული სასამართლო აქტის სრული ან ნაწილობრივ დეპერსონალიზებული ტექსტის საჯარო ინფორმაციის სახით 2024 წლის 1 იანვრამდე გაცემა“.

დასახელებული საკანონმდებლო ცვლილება გულისხმობს, რომ მიუხედავად იმისა, პირი წარუდგენს თუ არა სასამართლოს საკუთარი პერსონალური მონაცემების კონკრეტულ სასამართლოს აქტში დეპერსონალიზაციის თაობაზე განცხადებას, ამ აქტის საჯარო ინფორმაციის სახით გაცემა ავტომატურად იკრძალება 2024 წლამდე. ამ მოცემულობის გათვალისწინებით, სრულიად გაურკვეველია მოტივაცია და არგუმენტაცია, თუ რატომ არის ერთი მხრივ, პერსონალურ მონაცემთა დაცვის თაობაზე განცხადებების მიღება/მათი განხილვა, ხოლო მეორე მხრივ, სასამართლოს აქტების საჯარო ინფორმაციის სახით გაცემა ერთმანეთზე დამოუკიდებელი პროცესები. მაგალითად, რატომ უნდა დაბრკოლდეს სასამართლოს იმ აქტების საჯარო ინფორმაციის სახით გაცემა, რომელთა დაკავშირებითაც სასამართლოს წერილობითი განცხადება

საერთოდ არ მიუღია, ან განხილვა რატომ არ ხდება განცხადებების მიღების პარალელურად?

მთლიანობაში, გარდამავალი პერიოდის მომწესრიგებელი ვადები არის გაუმართლებლად გაწეილი და არაეფექტურად განაწილებული, რაც ხელოვნურ დაბრკოლებებს ქმნის სასამართლოს აქტების ხელმისაწვდომობის უფლების ჯეროვანი რეალიზების გზაზე.

3.2. გამონაკლისი თანამდებობის პირებზე და განსაკუთრებულად მაღალი საჯარო ინტერესის მქონე საქმეებზე

საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ თანამდებობის პირებს, რომელთა საქმეები განხილულ იქნა ღია სასამართლოს სხდომაზე, ისევე როგორც მათ გადაწყვეტილებაში მოხსენიებულ სხვა პირებს, ბუნებრივად გააჩნდათ საკუთარი პერსონალური მონაცემების დაცვის დაბალი ლეგიტიმური მოლოდინი. მოქმედი და ყოფილი თანამდებობის პირთა მიმართ მიღებული სასამართლოს აქტების ხელმისაწვდომობა გარდამავალმა პერიოდმა ბლანკეტურად არ უნდა შეაფერხოს. გათვალისწინებული უნდა იქნეს მექანიზმი, რომლითაც გარდამავალ პერიოდში დაინტერესებული პირები შეძლებენ ამ თანამდებობის პირთა მონაწილეობით მიღებული გადაწყვეტილებების გაცნობას.

შეჯამებისთვის, მიუხედავად იმისა, რომ გარდამავალი პერიოდის მოწესრიგება აუცილებელია, შემოთავაზებული მოდელი ქმნის ხელოვნურ დაბრკოლებებს. უნდა შემცირდეს ვადები, სათანადოდ უნდა ჩამოყალიბდეს სტანდარტი, რომლითაც გადაწყვეტილების მიმღები პირი იხელმძღვანელებს, საკონსტიტუციო სასამართლოს მიერ „ვიწრო პროპორციულობის“ ეტაპზე გაკეთებული განმარტებების შესაბამისად. გარდამავალ პერიოდში განსხვავებული მოწესრიგება უნდა დადგინდეს თანამდებობის პირებისა და ყოფილი თანამდებობის პირების მიმართ მიღებულ სასამართლოს აქტებზე.

(ყოფილი) თანამდებობის პირთა მიღმა უნდა შემუშავდეს მექანიზმი, რომელიც უზრუნველყოფს 2022 წლის პირველ იანვრამდე მიღებული აქტების გახსნის შესაძლებლობას თუ კონკრეტული აქტის მიმართ გაჩნდება განსაკუთრებული საზოგადოებრივი ინტერესი. ასეთ შემთხვევაში, საჯარო ინფორმაციის მომთხოვნ პირს შეიძლება დაევალოს ამგვარი ინტერესის დასაბუთება.

რეკომენდაციები:

- 2022 წლის პირველ იანვრამდე მიღებული სასამართლო აქტების 2024 წლამდე გაცემის ბლანკეტური აკრძალვა უნდა მოიხსნას. წერილობითი მოთხოვნების წარდგენის ვადა უნდა შემცირდეს. განსხვავებულად უნდა ჩამოყალიბდეს წერილობითი მოთხოვნების განხილვის ვადები.
- (ყოფილ) თანამდებობის პირთა პერსონალურ მონაცემებზე საქმეებზე დაშვებულ უნდა იქნეს გამონაკლისი;
- გათვალისწინებულ უნდა იქნეს სასამართლოს აქტის გაცემის შესაძლებლობა მომეტებული საჯარო ინტერესის არსებობისას.

4. საერთო სასამართლოს რესურსები

კანონპროექტის არსებული ვერსიით მიღება მნიშვნელოვან ტვირთად დააწვება საერთო სასამართლოს. მოსამართლის ვალდებულება, ყველა შემთხვევაში იმსჯელოს სასამართლოს აქტების ხელმისაწვდომობასა და პერსონალურ მონაცემთა დაცვის უფლებას შორის ბალანსზე, წარმოუდგენლად დიდი ტვირთია.

სასამართლო უნდა განიტვირთოს, არა განხილვის გაზრდილი ვადებითა და სამართლიანი სასამართლოს უფლების შეზღუდვით, არამედ მოსამართლეთათვის არასაჭირო ვალდებულებების მოშორებით. მოცემულ შემთხვევაში, მათთვის დაკისრებული მძიმე ტვირთი არამცთუ არ არის საჭირო, არამედ ეწინააღმდეგება საკონსტიტუციოს გადაწყვეტილებით დამკვიდრებულ სტანდარტს.

შემოთავაზებული კანონის პროექტის მე-2 მუხლის თანახმად, „2022 წლის 1 იანვრამდე საქართველოს იუსტიციის უმაღლესმა საბჭომ მიიღოს ამ კანონით გათვალისწინებული „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონით განსაზღვრული სათანადო სამართლებრივი აქტები და განახორციელოს სხვა საჭირო ღონისძიებები“. იმის მიხედვით, როგორ გზას აირჩევს იუსტიციის უმაღლესი საბჭო, შესაბამისი ღონისძიებების განხორციელებამ შეიძლება მოითხოვოს, დამატებითი ფინანსური რესურსის ერთჯერადად გამოყოფა ადმინისტრაციულ, ტექნიკური ან/და დეველოპერული მოქმედებების განსახორციელებლად.

5. სასამართლოს გადაწყვეტილებების გამოქვეყნება

საკონსტიტუციო სასამართლოს აღნიშნული გადაწყვეტილება საერთოდ არ შეეხება სასამართლოს აქტების გამოქვეყნებას. იგი მხოლოდ და მხოლოდ, ამ აქტების საჯარო ინფორმაციის სახით გაცემაზეა ორიენტირებული. თუმცა ამ ვალდებულებას ითვალისწინებს „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-13 მუხლის 3¹ პუნქტი, რომლის თანახმადაც „ღია სხდომაზე საქმის არსებითი განხილვის შედეგად მიღებული სასამართლო გადაწყვეტილება მთლიანად ქვეყნდება სასამართლოს ვებგვერდზე, ხოლო დახურულ სხდომაზე საქმის არსებითი განხილვის შედეგად მიღებული სასამართლო გადაწყვეტილების შემთხვევაში სასამართლოს ვებგვერდზე ამ გადაწყვეტილების მხოლოდ სარეზოლუციო ნაწილი ქვეყნდება. სასამართლო გადაწყვეტილებებში შეტანილი პირის პერსონალური მონაცემების გამჟღავნების საკითხი წყდება კანონის შესაბამისად“.

საერთო სასამართლოები რეგულარულად აქვეყნებდნენ საკუთარ გადაწყვეტილებებს, დეპერსონალიზებული ფორმით <https://ecd.court.ge> ზე. თუმცა, მათ ამ ვალდებულების შესრულება შეწყვიტეს საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილების ამოქმედების წინა დღეს. გადაწყვეტილებებს საკუთარ ვებგვერდზე კვლავ აქვეყნებს უზენაესი სასამართლო, თუმცა პირველი ინსტანციისა და საპელაციო სასამართლოების გადაწყვეტილებები 2020 წლის 30 აპრილის შემდგომ აღარ გამოქვეყნებულა.

საკონსტიტუციო სასამართლოს განსახილველი გადაწყვეტილება საერთოდ არ შეეხება სასამართლოს აქტების პროაქტიულად გამოქვეყნებას ან ვებგვერდზე განთავსებას. ამდენად, გაურკვეველია, რა გახდა დეპერსონალიზებულ გადაწყვეტილებათა გამოქვეყნების შეწყვეტის საფუძველი. თუმცა, აუცილებელია გადაწყვეტილებათა გამოქვეყნების პროცესი დაუყოვნებლივ აღდგეს. სამართლებრივი უსაფრთხოება და სასამართლოს პრაქტიკის ცოდნა არსებით კავშირშია ერთმანეთთან. აღნიშნულზე თავად საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილებაშიცაა ხაზგასმული.

საკონსტიტუციო სასამართლოს განმარტებით, „მართლმსაჯულების საზოგადოებრივ ზედამხედველობასთან და საზოგადოების ნდობასთან ერთად, მნიშვნელოვანია, მხედველობაში იქნეს მიღებული სამართლებრივი უსაფრთხოების ინტერესი. ნებისმიერი ნორმატიულად დადგენილი ქვევის წესი სიცოცხლისუნარიანი ხდება სასამართლოს პრაქტიკაში და მისი საშუალებით. სასამართლო ხელისუფლება საქართველოს კონსტიტუციით დადგენილ ორგანოთა არქიტექტურაში არის ის სახელისუფლებო შტო,

რომელიც საბოლოო სიტყვას ამბობს კანონმდებლობის განმარტებისა და გამოყენების თაობაზე“.²²

სასამართლოს აქტების პროაქტიულად გამოქვეყნება განტვირთავს სასამართლოს საჯარო ინფორმაციის მოთხოვნებისგან. აღნიშნული განსაკუთრებით მნიშვნელოვანია, იმდენად რამდენადაც, სამართლებრივი უსაფრთხოების ინტერესიდან გამომდინარე, სასამართლო აქტებზე ხელმისაწვდომობის უფლებას საკონსტიტუციო სასამართლოს მიერ განსაკუთრებით მაღალი კონსტიტუციური მნიშვნელობა და გარანტია მიენიჭა:

„შეზღუდვის ინტენსივობა კიდევ უფრო იზრდება ისეთ შემთხვევებში, როდესაც ვერ ხდება სასამართლოს აქტის დეპერსონალიზებული ფორმით გაცემის უზრუნველყოფა და დაინტერესებული პირებისათვის სრულად ხელმიუწვდომელია სასამართლოს აქტი, რაც არა მხოლოდ შემთხვევით კონტროლს გამორიცხავს, არამედ - უგულებელყოფს სამართლებრივი უსაფრთხოების მოთხოვნას - საზოგადოებისათვის ხელმისაწვდომი იყოს სასამართლოს გადაწყვეტილებებში მოცემული დასაბუთება - მოქმედი კანონმდებლობის ავტორიტეტული განმარტება“.²³

6. სხვადასხვა, არასისტემური პრობლემური საკითხები

შემოთავაზებული კანონპროექტი ითვალისწინებს რამდენიმე პრობლემურ და ბუნდოვან დანაწესს. მთლიანობაში ამგვარი ნორმების შემოღების მიზეზი გაურკვეველია და ქმნის სასამართლოს აქტების ხელმისაწვდომობის ხელშეშლის რისკებს. მაგალითად, შემოთავაზებული კანონპროექტის 13³ მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, „სასამართლო აქტის სრული ან ნაწილობრივ დეპერსონალიზებული ტექსტი საჯარო ინფორმაციის სახით ამ თავით დადგენილი წესით გაიცემა მხოლოდ იმ პირზე, რომელსაც იმავე სასამართლო აქტის სრული ტექსტის მიღება საქართველოში მოქმედი სხვა სამართლებრივი ნორმების საფუძველზე არ შეუძლია“. გაურკვეველია რა მიზანი დგას აღნიშნული შეზღუდვის მიღმა. ამავე დროს, ამ ნორმამ შეიძლება წარმოშვას სხვა სამართლებრივი პრობლემებიც.

შემოთავაზებული კანონპროექტის 13³ მუხლის მე-3 პუნქტის თანახმად, „სასამართლო აქტის სრული ან ნაწილობრივ დეპერსონალიზებული ტექსტის

²² იქვე. პარ. 49-50.

²³ იქვე. პარ. 65

საჯარო ინფორმაციის სახით გაცემის საკითხის გადასაწყვეტად ამ თავით დადგენილი წესები მოქმედებს მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ სასამართლოს არ მიუღია გადაწყვეტილება სასამართლო სხდომის შესაბამისი ნაწილის ან სრულად დახურვის თაობაზე.“ სასამართლოს სხდომის ნაწილობრივ დახურვა უნდა იყოს მხოლოდ დახურულ სხდომაზე გაქედრებული ინფორმაციის დაცვის და არა სასამართლოს მთლიანი აქტის დაცვის საფუძველი. ციტირებული ნორმა იძლევა მისი იმგვარად ინტერპრეტაციის საშუალებას, რომ ნაწილობრივ დახურული სხდომის შედეგად მიღებული გადაწყვეტილება საერთოდ არ გაიცეს საჯარო ინფორმაციის ფორმით.

კანონპროექტის 13³ მუხლის მე-3 პუნქტის თანახმად, „ამ თავით დადგენილი წესები არ ვრცელდება სასამართლო აქტის ტექსტის იმ ნაწილის საჯარო ინფორმაციის სახით გაცემაზე, რომელიც შეიცავს კომერციულ, პროფესიულ ან კანონის შესაბამისად აღიარებულ სახელმწიფო საიდუმლოებას ან რომლის საჯარო ინფორმაციის სახით გაცემასაც შეუძლია ამგვარი საიდუმლოების გამჟღავნება გამოიწვიოს“. ციტირებულ ნორმაში ჩამოთვლილი საკითხები წესრიგდება სხვა ნორმატიული აქტებით. ამ ჩანაწერს საუკეთესო შემთხვევაში სამართლებრივი ღირებულება არ გააჩნია (კანონპროექტიდან ცხადად გამომდინარეობს, რომ იგი სასამართლოს აქტებში პერსონალურ მონაცემთა დაცვას აწესრიგებს), უარეს შემთხვევაში კი მისმა ინტერპრეტაციამ შეიძლება არამართლზომიერად შეზღუდოს სასამართლოს აქტების ხელმისაწვდომობა.

კანონპროექტის 13⁴ მუხლის მე-5 პუნქტი აწესრიგებს 2022 წლის პირველ იანვრამდე მიღებული აქტების ხელმისაწვდომობას. ამ ნორმის თანახმად, „სასამართლო აქტის სრული ან ნაწილობრივ დეპერსონალიზებული ტექსტის საჯარო ინფორმაციის სახით მისაღებად პირს შეუძლია განცხადებით მიმართოს იმ სასამართლოს, რომელმაც მიიღო ეს სასამართლო აქტი ან თუ აღნიშნული სასამართლო ლიკვიდირებულია, მის ყოფილ სამოქმედო ტერიტორიაზე მოქმედ სხვა შესაბამის სასამართლოს. განმცხადებელს უფლება აქვს დაასაბუთოს სასამართლო აქტის სრული ან ნაწილობრივ დეპერსონალიზებული ტექსტის საჯარო ინფორმაციის სახით მოთხოვნის საჭიროება და მოტივაცია“. გაურკვეველია რას ემსახურება განმცხადებლის უფლების დეკლარირება, რომ დაასაბუთოს საკუთარი მოთხოვნა. მას ამის უფლება ისედაც გააჩნია. იმის გათვალისწინებით, რომ შემოთავაზებული კანონპროექტი აცდენილია საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილების ძირითად სტანდარტებს, მსგავსი ჩანაწერების არსებობა დამატებით რისკებს ქმნის.

ჩამოთვლილი რამდენიმე პრობლემური საკითხი არის კანონპროექტთან ასოცირებული არასისტემური სამართლებრივი პრობლემების არაამომწურავი ჩამონათვალი. საჭიროა გადაწყდეს სისტემური პრობლემები, რათა შესაძლებელია იყოს დეტალურ სამართლებრივ პრობლემებზე მსჯელობა და შემოთავაზებული პროექტის საკანონმდებლო ტექნიკის თვალსაზრისით დახვეწა, რათა სათანადოდ აღსრულდეს საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილება და მისით დადგენილი კონსტიტუციური სტანდარტები.

შეჯამება

საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2019 წლის 7 ივნისის გადაწყვეტილების აღსასრულებლად, საქართველოს პარლამენტის წევრთა მიერ ინიცირებული კანონპროექტი ნაწილობრივ ასახავს კონსტიტუციურ სტანდარტებს, რომლებიც ზემოთ მითითებული გადაწყვეტილებით დადგინდა. მიუხედავად ამისა აღსრულების მოდელი (პროცედურები და ვადები) იმგვარადაა დაგეგნილი, რომ შეუძლებელი ხდება ან არსებითად რთულდება იმ ლეგიტიმური მიზნების რეალიზება, რომელთა მისაღწევადაც საკონსტიტუციო მართლმსაჯულების გამჭვირვალობის მაღალი სტანდარტები დაადგინა.

კანონპროექტში არასრულფასოვნადაა იმპლემენტირებული საერთო სასამართლოს აქტების ხელმისაწვდომობის მიმართ არსებული მომეტებული (ნაგულისხმევი) კონსტიტუციური ინტერესი, რაც აღიარებულ იქნა საკონსტიტუციო სასამართლოს მიერ. ამ ფორმით კანონპროექტის მიღება, ვერ უზრუნველყოფს საკონსტიტუციო სასამართლოს განხილული გადაწყვეტილების სრულფასოვნად მიახლოებულ იმპლემენტაციასაც კი. მეტიც, იგი გარკვეულ შემთხვევებში შეიძლება ეწინააღმდეგებოდეს კიდევ მას. არსებული რედაქციით კანონპროექტის მიღება ქმნის სასამართლოს აქტების ხელმისაწვდომობის და პერსონალურ მონაცემთა დაცვის უფლებათა დარღვევის რისკებს. ამავდროს, იგი წარმოშობს საერთო სასამართლოთა სისტემის გადატვირთვის რეალურ საფრთხეს.

კანონპროექტი საჭიროებს მნიშვნელოვან დახვეწას. კრიტიკულად მნიშვნელოვანია განსხვავებულად ჩამოყალიბდეს, განხილვის, გასაჩივრების პროცედურები და ვადები, ისევე როგორც 2022 წლის პირველ იანვრამდე მიღებული სასამართლო აქტების ხელმისაწვდომობის საკითხი. ეს პროცესები უნდა გახდეს უფრო მოქნილი და ეფექტური. არსებული ფორმით მათი

იმპლემენტაცია დააკნინებს სასამართლოს აქტების ხელმისაწვდომობის საფუძვლად და მის სასარგებლოდ არსებულ არაერთ კონსტიტუციურ სიკეთეს.

მთლიანობაში, საქართველოს პარლამენტის წევრთა მიერ წარმოდგენილი კანონის პროექტის უარყოფითად უნდა შეფასდეს. იგი ვერ პასუხობს საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილებით დამკვიდრებულ სტანდარტებს და იგი ვერ უზრუნველყოფს სასამართლოს აქტებზე ეფექტურად წვდომის უფლების რეალიზაციას.

დანართი N1: დარეგისტრირებული კანონის პროექტის გადამუშავებული ვერსია; კანონპროექტი დამუშავებულია IDFI-ის მიერ, იურიდიული კომიტეტის წევრთა მიერ შემოთავაზებული მოდელზე დაყრდნობით.

დანართი N2: ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტის მიერ შემუშავებული კანონის პროექტი.